ინვესტიცია, როგორც ეკონომიკური კატეგორია

ნატო ჩიკვილაძე
სტუ-ს პროფესორი
E-mail: natochikviladze34@gmail.com

რეზიუმე

ინვესტიციის საკითხი საკმაოდ აქტუალურია თანამედროვე პირობებში.ინვესტიციური საქმიანობა წარმოადგენს ფუნქციონირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს, როგორც სახელმწიფოს ეკონომიკური სისტემის,ისე კომერციული ორგანიზაციებისათვის.

ინვესტირების პრობლემების კვლევა ყოველთვის წარმოადგენდა მნიშნელოვან საკითხს ეკონომიკური მეცნიერებისთვის. ეს განპირობებულია იმით, რომ ინვესტიცია ეხება სამეურნეო საქმიანობის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ასპექტებს და წარმოადგენს რეალური ეკონომიკური ძვრების უზრუნველყოფის მნიშვნელოვან საშუალებას.

ინვესტიციის ეკონომიკური ბუნება განპირობებულია გაფართოებული კვლავწარმოების პროცესის კანონზომიერებით და მდგომარეობს ზედმეტი პროდუქტის ნაწილის გამოყენებაში, საზოგადოების საწარმოო ძალების სისტემის ყველა ელემენტის რაოდენობრივ და ხარისხობრივ ზრდაში.

ეკონომიკური ზრდა წარმოადგენს ეკონომიკური განვითარების პროცესის ერთ-ერთ ფორმას, რომელიც მოიცავს არა მარტო წარმოების შედეგების ზრდას, არამედ ახალი პროგრესული პროპორციების ჩამოყალიბებასაც. ისინი აყალიბებენ შემდგომი პროგრესის წანამძღვრებს, რომლებიც მოცემულ მომენტში უძლურია გაზარდოს რეალური ეროვნული შემოსავალი, მიუხედავად ამისა უზრუნველყოფს ამას მომავალში.

შესავალი

ინვესტიციის საკითხი საკმაოდ აქტუალურია თანამედროვე პირობებში.ინვესტიციური საქმიანობა წარმოადგენს ფუნქციონირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს, როგორც სახელმწიფოს ეკონომიკური სისტემის,ისე კომერციული ორგანიზაციებისათვის.

ინვესტიციის აუცილებლობის განმაპირობებელ მიზეზს საერთო-ეკონომიური მაჩვენებლის ზრდა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება, წარმოების მოცულობის ზრდის და საქმიანობის ახალი სახეობის დანერგვა წარმოადგენს. კარგად აწყობილი საინვესტიციო საქმიანობას ნებისმიერ ეკონომიკაში საკვანძო მნიშვნელობა აქვს, მთელს მსოფლიოში კი თვლიან, როგორც ეფექტიანობის და მართვის უმნიშვნელოვანეს ნიშანს.

უახლესი ტექნიკისა და ტექნოლოგიის მასობრივი დანერგვა დაკავშირებულია მნიშვნელოვან კაპიტალურ დანახარჯებასთან, რადგანაც სრულყოფილი ტექნიკა გაცილებით ძვირია არსებულთან შედარებით. აქტიური ინვესტიციური საქმიანობა წარმოადგენს სისტემატურად განახლებად ციკლურ პროცესს. ნებისმიერი ინდუსტრიული თუ განვითარებადი ქვეყნისათვის პოზიტიური ეკონომიკური ძვრებისათვის პირობების შექმნა წარმოადგენს "ლოკომოტივს" საზოგადოების როგორც ტექნიკური, ისე სოციალ-ეკონომიკური განვითარებისთვის.

ინვესტიციის ბაზრის მნიშვნელოვან ტენდენციას თანამედროვე პირობებში წარმოადგენს ინვესტორების გაზრდილი ინტერესი განვითარებადი ქვეყნების ბაზრებისადმი. აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია ქართული ინვესტიციური კლიმატის შესწავლა,მის განვითარებაზე მოქმედი ყველა ფაქტორი და ცვლილების ტენდენციები.

ძირითადი შინაარსი

ინვესტირების პრობლემების კვლევა ყოველთვის წარმოადგენდა მნიშნელოვან საკითხს ეკონომიკური მეცნიერებისთვის.ეს განპირობებულია იმით, რომ ინვესტიცია ეხება სამეურნეო საქმიანობის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ასპექტებს და წარმოადგენს რეალური ეკონომიკური ძვრების უზრუნველყოფის მნიშვნელოვან საშუალებას.ლათინურად(ინვესტიო-ვაცმევ) "ინვესტიცია" ნიშნავს" "დაბანდებას".

თანამედროვე ეკონომიკაში ცნება "ინვესტიცია" წარმოადგენს ერთ-ერთ საბაზო მნიშვნელობის ცნებას. არსებობს ამ ტერმინის სხვადასხვანაირი განმარტება.მაგალითად, "ინვესტიცია-ეს არის რისკთან დაკავშირებული კაპიტალის დაბანდება მოგების მისაღებად"

"ინვესტიცია-ეს ფულადი საშუალებაა, ფასიანი ქაღალდები, სხვა სახეობის საკუთრებაა, მათ

შორის საკუთრების უფლება, სხვა უფლება, რომელსაც გააჩნია ფულადი შეფასება, რომლის დაბანდება ხდება სამეწარმეო ან სხვა სახის საქმიანობაში მოგების მიღების მიზნით ან სხვა სასარგებლო ეფექტის მისაღებად."

"ინვესტიცია - სხვადასხვა დარგის საწარმოში, სამეწარმეო პროექტებში, სოციალურ-ეკონომიკურ პროგრამებში ან ინოვაციურ პროექტებში კაპიტალის ხანგრძლივი ვადით დაბანდებაა".

ინვესტიციის განსაკუთრებით მნიშვნელოვან და არსებით ნიშანს წარმოადგენს:

♦ კაპიტალური დაბანდების განხორციელება პირებისაგან (ინვესტორები), რომელთაც გააჩნიათ საკუთარი მიზანი, რომელიც ყოველთვის არ ემთხვევა საერთო-ეკონომიკურ სარგებლობას;

♦ ინვესტიციის პოტენციურ უნარს მოაქვს შემოსავალი;

♦ საშუალებების დაბანდებების განსაზღვრული ვადა (ყოველთვის ინდივიდუალური, განსხვავებული);

♦ კაპიტალის დაბანდების მიზანმიმართული ხასიათი;

♦ ინვესტიციის პროცესის განხორციელებაში სხვადასხვა საინვესტიციო რესურსების გამოყენება ;

♦ რისკის არსებობა კაპიტალის დაბანდებაში.

კაპიტალის ზრდის წყაროს და ინვესტიციის განხორციელების მამოძრავებელ მოტივს წარმოადგენს ამ საქმიდან მოგების მიღება.ეს ორი პროცესი-კაპიტალის დაბანდება და მოგების მიღება-შეიძლება მოხდეს სხვადასხვა დროითი თანმიმდევრობით.ამ პროცესის თანმიმდევრული განხორციელებისას მოგება მიიღება მაშინვე ინვესტიციის სრული მოცულობით განხორციელებისთანავე. მათი პარალელურად მიმდინარე პროცესისას მოგება შეიძლება მიღებულ იქნეს პროცესის დამთავრებამდე (პირველი ეტაპის შემდეგ) ამ პროცესის ინტერვალური მიმდინარეობისას ინვესტირების პერიოდის დასრულებას და მოგების მიღებას შორის მნიშვნელოვანი დრო დევს, რომლის მიმდინარეობა დამოკიდებულია კონკრეტული საინვესტიციო პროექტის თავისებურებებზე. შემდეგი და არანაკლებ მნიშვნელოვანი განმარტება ინვესტიციის არსის დაზუსტებისთვის არის საინვესტიციო საქმიანობა. საინვესტიციო საქმიანობა-ინვესტიციის ჩადება და პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებაა მოგების ,ან სხვა სასარგებლო ეფექტის (შედეგის) მიღების მიზნით.

საინვესტიციო საქმიანობა ხორციელდება სხვადასხვა ფორმით:

♦ ინვესტირება, განხორციელებული მოქალაქეების, საწარმოების, სამეურნეო ასოციაციების, გაერთიანებებისა და საზოგადოებების , აგრეთვე საზოგადოებრივი და რელიგიური ორგანიზაციების , სხვა იურიდიული პირების მიერ;

♦ სახელმწიფო ინვესტირების ფორმა;

♦ უცხოური ინვესტირების ფორმა;

♦ მოქალაქეებისა და იურიდიული პირების მიერ საშუალებებისა და ფასეულობათა ერთობლივი ინვესტირება.

საინვესტიციო საქმიანობის ობიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ქონება,მათ შორის ნებისმიერი დარგის ძირითადი ფონდები და საბრუნავი საშუალებები,ფასიანი ქაღალდები, მიზნობრივი ფულადი შენატანი, სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქცია, ინტელექტუალური ფასეულობა, საკუთრების სხვა ობიექტები, ასევე ქონებრივი უფლება.

საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტებს წარმოადგენენ ინვესტორები,შემკვეთნი, სამუშაოს შემსრულებლები საინვესტიციო საქმიანობის ობიექტების გამომყენებლები, აგრეთვე მიმწოდებელნი, იურიდიული პირები (საბანკო, სადაზღვევო და შუამავალი ორგენიზაციები, საინვესტიციო ბირჟები) და საინვესტიციო პროცესის სხვა მონაწილეები.

საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტები შეიძლება იყოს ფიზიკური და იურიდიული პირები, მათ შორის უცხოელი ,ასევე სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც ღებულობენ გადაწყვეტილებებს და აბანდებენ საკუთარ, მოზიდულ ან ნასესხებ საშუალებებს საინვესტიციო საქმიანობის ობიექტებში.

საინვესტიციო ციკლი-ღონისძიებების კომპლექსია ინვესტირების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან საინვესტიციო პროცესის დასრულების სტადიამდე, კერძოდ,მაგალითად, სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკოსტრუქტორო სამუშაოები, საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღება, დაგეგმვა და პროექტირება, მშენებლობისათვის მომზადება, მშენებლობა, საპროექტო მაჩვენებლებზე და დაბანდებათა ანაზღაურების რეჟიმზე გასვლა.

საინვესტიციო ციკლი შედგება სამი პერიოდისგან:

♦ ინვესტიციის წინა ფაზა;

♦ ინვესტიციის ფაზა-კერძოდ დანახარჯები, საშუალებების დაბანდება;

♦ ექსპლუატაციის ფაზა - დახარჯული საშუალებების ანაზღაურება.

საინვესტიციო პროცესი - რიგი განმეორე-

ბადი საინვესტიციო ციკლია.ინვესტიციის კომპლექსს უწოდებენ საწარმოთა და ორგანიზაციათა სისტემას,რომლებიც წარმოებაში ასრულებენ ყველა დარგისა საწარმოთა და ორგანიზაციათა საქმიანობისათვის აუცილებელი უძრავი ძირითადი ფონდების შექმნის ფუნქციას.

საინვესტიციო კომპლექსში შედის:

- ♦ ინვესტორები-კაპიტალი დამბანდებლები;
- ♦ მრეწველები,საწარმოები,რომლებიც დაკავშირებულნი არიან საინვესტიციო კომპლექსისათვის საშუალებათა წარმოებასა და მიწოდებასთან (ძირითადი ფონდების შექმნა, მიწოდება, მშენებლობა);
- ♦ საინვესტიციო ბანკები;
- ♦ საინვესტიციო კომპლექსის საბაზრო ინფრასტრუქტურა;
- ♦ საინვესტიციო კომპლექსში საბაზრო ურთიერთობების სახელმწიფო რეგულირების ორგანოები.

აგრეთვე აღსანიშნავია ინვესტიციასა და კაპიტალდაბანდებას შორის განსხვავება. ინვესტიცია - ეს უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე კაპიტალდაბანდება, იგი მოიცავს ძირითადი ფონდების კვლავწარმოების გარდა აგრეთვე საბრუნავ აქტივებში,სხვადასხვა ფინანსურ აქტივებსა და არამატერიალური აქტივების ცალკეულ სახეობებში დაბანდებას. ხოლო კაპიტალდაბანდება - შედარებით ვიწრო ცნებაა, ის შეიძლება განვიხილოთ როგორც ინვესტიციის ერთ-ერთი ფორმა.

ინვესტიციის ეკონომიკური ბუნება განპირობებულია გაფართოებული კვლავწარმოების პროცესის კანონზომიერებით და მდგომარეობს დამატებითი პროდუქტის ნაწილის გამოყენებაში საზოგადოების საწარმოო ძალების სისტემის ყველა ელემენტის რაოდენობრივ და ხარისხობრივ ზრდაში.

ინვესტიციის წყაროა დაგროვების ფონდი, ანუ ეროვნული შემოსავლის დაგროვებადი ნაწილი, მიმართული წარმოების ფაქტორების ზრდისა და განვითარებისათვის, აგრეთვე ამორტიზაციის ფონდი, რომელიც გამოიყენება გაცვეთილი წარმოების საშუალებების განახლებისთვის ამორტიზაციის ანარიცხების სახით. მთელი ინვესტიციის შემადგენლობა ამგვარად აყალიბებს საშუალებათა სტრუქტურას, რომელიც უშუალოდ ზეგავლენას ახდენს საინვესტიციო პროცესების ეფექტიანობასა და გაფართოებული კვლავწარმოების ტემპებზე.

ინვესტიციური აქტიურობა წარმოადგენს ქვეყნის ან რეგიონის ეკონომიკაში ინვესტიციური პროცესების განხორციელების ინტენსიურობის ხარისხს, მოცემული ეკონომიკური სისტემის პოტენციური და რეალიზებული შესაძლებლობების გათვალისწინებით. ინვესტიციური აქტიურობა წარმოადგენს საინვესტიციო მიმზიდველობის ფუნქციას, რომელიც თავის მხრივ გამოისახება ორი განმაზოგადოებელი მახასიათებლის: ინვესტიციური პოტენციალისა და ინვესტიციის რისკის თანაფარდობით.

ეკონომიკური ზრდა წარმოადგენს ეკონომიკური განვითარების პროცესის ერთ-ერთ ფორმას, რომელიც მოიცავს არა მარტო წარმოების შედეგების ზრდას, არამედ ახალი პროგრესული პროპორციების ჩამოყალიბებასაც. ისინი აყალიბებენ შემდგომი პროგრესის წანამძღვრებს, რომლებიც მოცემულ მომენტში უძლურია გაზარდოს რეალური ეროვნული შემოსავალი, მიუხედავად ამისა უზრუნველყოფს ამას მომავალში.

ზრდა ნებისმიერი ეკონომიკის საბოლოო მიზანია,მიუხედავად იმისა როგორიც არ უნდა იყოს მისი ბუნება.ასეთი მიზნის დასახვა იძლევა ერთდროულად ორი შედეგის მიღწევის შესაძლებლობას: კერძო და საზოგადოებრივი ინტერესების დაკმაყოფილებას (ცხოვრების დონის ზრდა) და საერთაშორისო კონკურენციაში მონაწილეობისათვის შედარებით სასიკეთო პირობების შექმნას.

ეკონომიკური ზრდის მისაღწევად აუცილებელია მისი პოტენციალის ამოქმედება,რომელიც თვითონ წარმოადგენს ეკონომიკური ზრდის ფაქტორთა კომპლექტს. ეკონომიკური ზრდის ძირითად ფაქტორებს წარმოადგენს: მოსახლეობა, ინვესტიციები,ინოვაციები და გაცვლის პროცესის განვითარება. ჩამოთვლილი ფაქტორების და მათი გამოყენების პირობების ოპტიმალური შეხამების ძიება წარმოადგენს კარგად გააზრებული სახელმწიფო პოლიტიკის ობიექტს საშუალოვადიანი დაგეგმვის ფარგლებში.

ეკონომიკური ზრდის ნებისმიერი ტიპი,როგორიცაა წარმოების მოცულობის ზრდა (ეკონომიკური ზრდის ექსტენსიური ტიპი) თუ მისი ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება (ინტენსიური ტიპი) მოითხოვს დამატებით ინვესტიციებს. საინვესტიციო პროცესის შესაძლებლობა და მისი რეალიზაცია ხდება ეკონომიკური ზრდის მამოძრავებელი და რეგულატორი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლამარა ქოქიაური,ინვესტიციების თეორიული გენეზისი, თბ. 2013.
2. ალექსანდრე სიჭინავა, ინვესტიციები, თბ. 2010.
3. Сущность инвестиции и инвестиционной деятельности в экономической системе, Вестник Омского университета, Серия Экономика, 2013.
4. Т.В. Теплова, Ивестиции, М; Издат. Юраит. 2011.

INVESTMENT AS ECONOMIC CATEGORY

NATO CHIKVILADZE
Professor of GTU
E-mail: natochikviladze34@gmail.com

Summary

The issue of investment is quite actual in modern conditions. Investment activity is one of the important aspects of functioning as for the state economic system as for commercial organizations.

Investigation of investment problems always was an important issue for economical sciences. This is due to the fact that investment refers to the most important aspects of economic activities and is an important means of securing real economic shifts.

The economic nature of the investment is determined by the regularity of the expanded reprocessing and is expressed in the use of the part of the additional product, in the quantitative and qualitative growth of all elements of the enterprise force system of the society.

Economic growth is one of the forms of economic development that involves not only the growth of production results but also the establishment of new progressive proportions. They formulate further progress preliminaries, which at the moment are unable to increase real national income, despite this it ensures this in the future.